წიგნი მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომია, რომელშიც პირველადაა გაანალიზებული ქართველი მეცნიერის ივანე (იოჰან) ნიკურაძის ღვაწლი ჰიდრო-, აეროდინამიკისა და ჰიდრავლიკის, კერძოდ, სასაზღვრო შრის პრანდტლ-ნიკურაძე-კარმანის თეორიის (PNK თეორიის) შექმნასა და განვითარებაში. ი. ნიკურაძე მოღვაწეობდა გიოტინგენისა და ბრესლაუს უნივერსიტეტებში, ასევე კაიზერ ვილჰელმის ჰიდროდინამიკის ინსტიტუტში. წიგნში მოყვანილია ი. ნიკურაძის დაზუსტებული ბიოგრაფია და მოკლედაა აღწერილი მისი კლასიკურად აღიარებული, 1920–1930-იან წლებში შესრულებული ექსპერიმენტული კვლევების შედეგები, რომელთაც ჰიდროდინამიკის ვერც ერთი სახელმძღვანელო და მონოგრაფია დღესაც ვერ უვლის გვერდს. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ფოტოსურათებიდან (მათ შორის ნიკურაძეების ოჯახის არქივებიდან) ბევრი პირველად ქვეყნდება.

დღეისათვის როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში გამოქვეყნებული მასალების უმეტესობა ი. ნიკურაძის შესახებ სცოდავს უზუსტობებით და ხშირად კი მითებისა და ლეგენდების დონეზეა. წიგნის ავტორის ყველა მოსაზრება, რომელიც წინამორბედებისას არ ეთანხმება, დასაბუთებულია დოკუმენტურად. წიგნი პირველ წყაროებზე დაყრდნობით მოგვითხრობს ასევე ი. ნიკურაძის მასწავლებლის ლუდვიგ პრანდტლისა და მისი მეცნიერული სკოლის სხვა წარმომადგენლების შესახებ. საინტერესო, დღემდე გამოუქვეყნებელ დეტალებს გაეცნობა მკითხველი ი. ნიკურაძის ძმის, პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის, ქართველი მეცნიერების: ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ანდრია რაზმაძის, სამსონ ქუთათელაძისა და სხვათა მოღვაწეობიდან.

წინამდებარე მეორე გამოცემაში დამატებულია საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი ფოტოები ნიკურაძეების საოჯახო არქივიდან, შესწორებულია შემჩნეული მცდარბეჭდილები, შეტანილია შესწორებები ტექსტში.

წიგნი გამიზნულია როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

რედაქტორი	აკადემიკოსი თამაზ ნატრიაშვილი
რეცენზენტი	ინჟინერიის დოქტორი მერაბ ლონტი
დამკაბადონებელი	ლია მოსეშვილი

© რ. ქავთარაძე, 2024

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024

თბილისი, 0186, ა.პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN